



3105/3-53/22
06-04-2022

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 4 აპრილს უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარმა სამმართველომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთი ქმნის კონტრაბანდის არხებს, სანქციების ქვეშ მოქცეულ სამხედრო დანიშნულებისა და სხვა სახის პროდუქტისათვის. აღნიშნული არხებიდან ერთ-ერთი, სადაზვერვო ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის ხელისუფლების თანხმობის საფუძველზე გაივლის.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 148-ე მუხლის საფუძველზე გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. თუ რა არის საქართველოს მთავრობისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის ოფიციალური პოზიცია 2022 წლის 4 აპრილს გავრცელებულ უკრაინის სადაზვერვო ინფორმაციასთან დაკავშირებით.
2. დაიწყო თუ არა ოფიციალური კომუნიკაცია უკრაინულ მხარესთან აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებისა და სათანადო რეაგირებისათვის. ასეთის, შემთხვევაში, გთხოვთ დამიზუსტეთ, კონკრეტულად თუ რომელ უწყებებთან მიმდინარეობს ინფორმაციის გადამოწმება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



3107/3-53/22 2 06042022



3107/3-53/22

06-04-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 4 აპრილს უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარმა სამმართველომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთი ქმნის კონტრაბანდის არხებს, სანქციების ქვეშ მოქცეულ სამხედრო დანიშნულებისა და სხვა სახის პროდუქტისათვის. აღნიშნული არხებიდან ერთ-ერთი, სადაზვერვო ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის ხელისუფლების თანხმობის საფუძველზე გაივლის.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 148-ე მუხლის საფუძველზე გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. თუ რა არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პოზიცია 2022 წლის 4 აპრილს გავრცელებულ უკრაინის სადაზვერვო ინფორმაციასთან დაკავშირებით.
2. დაიწყო თუ არა ოფიციალური კომუნიკაცია უკრაინულ მხარესთან აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებისა და სათანადო რეაგირებისათვის. ასეთის, შემთხვევაში, გთხოვთ დამიზუსტეთ კონკრეტულად თუ რომელ უწყებებთან მიმდინარეობს ინფორმაციის გადამოწმება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 3 22 00994886



14/04/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

2022 წლის №3107/3-53/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში დასმული საკითხის განხილვა სცილდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას.

ამასთან, უფლებამოსილი უწყებების მიერ, კომპეტენციის ფარგლებში გაკეთდა არაერთი ოფიციალური განცხადება გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

შ.ს.ს.

მინისტრის მოადგილე

ალექსანდრე დარაბველიძე





3103/3-53/22
06-04-2022

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 4 აპრილს უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარმა სამმართველომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთი ქმნის კონტრაბანდის არხებს, სანქციების ქვეშ მოქცეულ სამხედრო დანიშნულებისა და სხვა სახის პროდუქტისათვის. აღნიშნული არხებიდან ერთ-ერთი, სადაზვერვო ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის ხელისუფლების თანხმობის საფუძველზე გაივლის.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 148-ე მუხლის საფუძველზე გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. თუ რა არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური პოზიცია 2022 წლის 4 აპრილს გავრცელებულ უკრაინის სადაზვერვო ინფორმაციასთან დაკავშირებით.
2. დაიწყო თუ არა ოფიციალური კომუნიკაცია უკრაინულ მხარესთან აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებისა და სათანადო რეაგირებისათვის. ასეთის, შემთხვევაში, გთხოვთ დამიზუსტეთ კონკრეტულად თუ რომელ უწყებებთან მიმდინარეობს ინფორმაციის გადამოწმება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია



საქართველოს თავდაცვის მინისტრი



MOD 2 22 00465009

21.04.2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

2022 წლის 6 აპრილის №3103/3-53/22 (რეგისტრაციის №392568) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წერილში მოყვანილ, უკრაინული მხარის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება გააკეთა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო უწყებამ - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა.

რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიციას, იგი თანხვედრაშია ზემოაღნიშნულ საკითხზე საქართველოს მთავრობის მეთაურისა და სამთავრობო დაწესებულებების მიერ დაფიქსირებულ პოზიციასთან.

პატივისცემით,

მინისტრი
ჯუანშერ ბურჭულაძე





საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



3104/3-53/22 2 06042022



3104/3-53/22

06-04-2022

სახელმწიფო უსაფრთხოების

სამსახურის უფროსს

ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 4 აპრილს უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარმა სამმართველომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთი ქმნის კონტრაბანდის არხებს, სანქციების ქვეშ მოქცეულ სამხედრო დანიშნულებისა და სხვა სახის პროდუქტისათვის. აღნიშნული არხებიდან ერთ-ერთი, სადაზვერვო ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის ხელისუფლების თანხმობის საფუძველზე გაივლის.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 148-ე მუხლის საფუძველზე გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. თუ რა არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური პოზიცია 2022 წლის 4 აპრილს გავრცელებულ უკრაინის სადაზვერვო ინფორმაციასთან დაკავშირებით.
2. დაიწყო თუ არა ოფიციალური კომუნიკაცია უკრაინულ მხარესთან აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებისა და სათანადო რეაგირებისათვის. ასეთის, შემთხვევაში, გთხოვთ დამიზუსტეთ კონკრეტულად თუ რომელ უწყებებთან მიმდინარეობს ინფორმაციის გადამოწმება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი

თამარ კორძაია



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი
HEAD OF STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA



SSG 0 22 00069824



28/04/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2022 წლის 6 აპრილის N3104/3-53/22 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ 2022 წლის 4 აპრილს უკრაინის სამხედრო დაზვერვის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ოფიციალური პოზიცია მიმდინარე წლის 5 აპრილს გამოხატა. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ განთავსებულია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 4 აპრილს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ინფორმაციის გაცვლის მიზნით, შეხვდა საქართველოში უკრაინის საელჩოს წარმომადგენელს, რომელსაც ეთხოვა უკრაინის სამხედრო დაზვერვის მიერ გავრცელებული ინფორმაციის დამადასტურებელი მტკიცებულებების დაუყოვნებლივ მოწოდება, მათზე სამართლებრივი რეაგირების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე უკრაინის კომპეტენტურ უწყებებს შესაბამისი ინფორმაცია არ გაუზიარებიათ.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი
გრიგოლ ლილუაშვილი

